განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

# განცხადება

## საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით

29 ივლისი, 2020 წელი

მივესალმებით, საქართველოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების მესამე მოსმენით დამტკიცებას, რომლის თანახმადაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 120/30-ზე პროპორციით და 1%-იანი ბარიერის პირობებში ჩატარდება. ხაზგასასმელია საერთაშორისო ფასილიტატორების პოზიტიური როლი აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ვფიქრობთ, აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის დასტაბილურების, პოლიტიკური პლურალიზმის ხელშეწყობისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების წინაპირობას.